თამარ ბართაია

ერთად და ცალ-ცალკე

პიესა ერთ მოქმებად

2020 წ.

***

ანო: (50 წლამდე , წარმატებული შვილების დედა), ტახტზეა მიწოლილი და პულტით მართავს დიდ ეკრანს. ეკრანზე ჩანს სკაიპის ორი ფანჯარა. ერთს აწერია- ქეთი, მეორეს -გიო. ანოს დაბალ მაგიდზე აქვს ფეხები შემოწყობილი , თეფშზე სასუსნავი უწყვია და ხრაშა-ხრუშით მიირთმევს.

ანო : ეს ჩემი ყოველდრიური მდგომარეობაა, უფრო სწორედ ყოველღამეული , უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩემი შვილები სხვასხვა კონტინენტებზე ცხოვრობენ, დროის 12 და 7 საათიანი სხვაობებია ჩვენს შორის, ამიტომ ჩემთვის ღამის და მათთვის დღის მხოლოდ ამ პერიოდში ვემთხვევით ერთმანეთს, უფრო სწორად , დაახლოებით ამ დროს შეუძლიათ, რომ დამელაპარაკონ მეც და ერთმანეთსაც. უკვე რამდენი წელია , რაც ღამე მღვიძავს და დღე მღვიძავს, აი ზუსტად 2 წუთში შემომიერთდებიან.

ეკრანზე ერთმანეთის მიყოლებით გაისმება ზარები.

გიო: ჰაი! დე!

ანო : პრივეტ!

გიო: დე, შენი რეცეპტიც გაკეთებულ ჩიხირთმაზე დაეცა ხალხი.

ანო: მართლა? ძალიან მიხარია!

ქეთი: გაუ ჯიგრებს!

ანო:პრივე! პრივეტ! გკოცნი დედიკო

ქეთი : ამ ოკუპანტების ენაზე მისალმებას მაინც ვერ გადაგაჩვიე.

ანო : აუუ სულ მავიწყდება.

გიო: გაუმარჯოს, არ გინდა ავსტრალიელებსაც გაასინჯო ჩიხირთმა?

ქეთი : რო არ გეზარება რაა?! რის ჩიხირთმა, რა ჩიხირთმა, მეტი საქმე არა გაქვს?!

გიო: აუ იცი რა მაგარი გამომივიდა ?! ერთი სული მაქვს როდის ჩავფრინდები სახლში რო რაც დამრჩა ისიც შევჭამო

ანო: გენაცვალოს დედა, მაგას აქაც არ გაუსინჯავს და იქ რისი გამკეთებელია?!

სად ხარ ახლა დე არ ხარ ნიუ-იორკში ?

გიო: არა მონაკოში ვარ.

ანო : მერე არ გეძინება დედიკო?

გიო: არა, ფრენა გადაიდო 5 საათით და ახლა კაი გამოძინებული ვერ

ქეთი: ავსტრალიაში როდის მოფრინავ?

გიო: გააკეთე ჩიხირთმა და კი ბატონო.

ქეთ : ჩამო, ჩამო, კენგურუს ხორცის ხინკალზე გეპატიჟები, ამასწინათ გავაკეთეთ , მთელ საელჩოს ცომში ქონდა ხელები , აჰაჰაჰა!!

გიო: ფუ მაგას რა მაჭმევს, ველურებო, კენგურუ არ გეცოდებათ მაინც?

ქეთი: მოიცა კენგურუ რატოა ვითომ ძროხაზე საყვარელი? დებილო!

ანო : ხო კაი არ იჩხუბოთ ახლა, ისე მეც ვერ შევჭამდი კენგურუს ხორცს, მითუმეტეს მაგ ხორცის ხინკალს.

ქეთი : სხვათაშორის თუ არ გეცოდინება, ვერც მიხვდები, გემოთი თითქმის არ განსხვავდება ძროხის ხორცისგან.

გიო : ფუ მოაშორე!! რა ხდება მანდ? კიდე ვერ ჩააქრეს ხანძარი!!

ქეთი : რა ხანძარი?

გიო: ეს მართლა დებილია, რა ხანძარიო?! გოგო! ყველა, ბი-ბი-სი, სი-ენ-ენი, ყველა მაგ ხანძრით იწყებს საინფორმაციოს,- ავსტრალიაში ისევ ვერ აქრობენ ხანძარსო, ახლა ამერიკელებმა გამოუგზავნეს დამატებითი სპეციალური თვითმფრინავები და ეს რა ხანძარიო ? საელჩოში მაინც არ მუშაობდე კიდე ვიტყოდი, აუუუუ...

ქეთი: ო , კაი რაა, ის სადღაც მეორე ბოლოშია, აქ არაფერიც არ არის , ერთხელ იყო მარატო რო, ქარმა თითქოს ოკეანედან მოიტანა რაღაც დამწვრის სუნი.

ანო: რა ვიცი დედიკო , მე აქ გული გახეთქვაზე მაქვს მთელ კონტინენტზე ხანძარიაო, კოსმოსიდან გადაღებული ფოტო გამომიგზავნა ამასწინათ დარიკომ.

ქეთი: ვინ დარიკომ?

ანო : ჩემი კლასელი დარიკო როა.- შენი გოგო ხო სიდნეიშიაო?! იწვის მთელი ავსტრალია , უთხარი დროზე გამოფრინდეს , ან გიომ ჩააკითხოს და სასწრაფოდ წამოიყვანოსო, გირეკეთ მთელი დღე და არც ერთმა არ მიპასუხეთ გული მქონდა გახეთვაზე.

(გიო და ქეთი იცინიან)

გიო: მაგრად დაუმშვიდებიხარ იმ შენს კლასელ დარიკოს, მეგობარიც ასეთი უნდა.

ქეთი : აჰაჰაჰა, კიდე კარგი , რო ვიძინებ ჩაწეული მაქვს ტელეფონი, თორე ხო არ გადამირჩებოდით არც შენ და არც შენი დარიკო რო გაგეღვიძებინეთ?!

გიო: აი ეგ ნაღდად არ მესმის ჩაწეული ტელეფონით მშვიდად რო იძინებ, ან საერთოდ როგორ იძინებ.

ანო : უიმე! მეც რა დამაძინებს , თუ არ ვიცი რო რამე რო მოხდეს ხაზზე ვარ.

ქეთი : თქვენ ცხრაჯერ რო გაგაღვიძოთ კაცმა, ცხრაჯერვე აგრძელებთ ძილს და მე რა ვქნა? მერე მთელი ღამე გავათენო და სამსახურში ღამენათევი წავიდე , თუ საერთოდ აღარ წავიდე?

გიიო: ოო?! სამასახური?! თორე თქვენც დიდ საქმეებს მიკეთებთ.

ანო: შენ რას მიკეთებ როო, სქელტრაკა დებილო?!

გიო: მე რას ვაკეთებ? გოგო რამდენჯერ მაქვს დედამიწისთვის შემოვლილი ვერც დაითვლი შე საწყალო.

ქეთი : მაინც სქელტრაკა დებილად დარჩები

გოგო : ეი გოგო ახლა მანდ არ ჩამომაფრინო, ვისა აქვს სქელი ტრაკი, 62 კილო ვარ

ქეთი : ჩემთვის მაინც სქელტრაკად დარჩები

ანო : რატო ხარ დედი 62 კილო, საჭმელს არ ჭამ?

ქეთი: უი საწყალი ?!... ეგ ჭამას მოიკლებს ქალო, ერთი კონტინენტიდან მორეზე მიფრინავს ერთი თეფში ჩიხირთმის გამო.

(გაისმის გიოსთან შემოსული ზარის ხმა).

გიო: (ვიღაცას ესაუბრება) გასაგებია, დიხ , კი 20 წუთში მანდ ვიქნები (ინგ.)

(გიო ამთავრებს ლაპარაკს)

ანო: ვინ იყო დე?

გიო: ვინ იყო ?! ... და ახლა ისაც ხო არ მოგიყვეთ რა მითხრეს?

ანო: არ მინდა, მთვარია ის ვიცოდე მშვიდობა ხოა?...

გიო: მშვიდობაა, მშვიდობა.

ქეთი: ერთი ის ხალხი მაჩვენა ამ სქელტრაკა დებილს თვითმფრინავში რო უჯდებიან.

ანო : გოგო ნუ ეძახი დებილს , თორე არ ვიცი რას გიზამ.

გიო: ოჰ კაი, მეძახოს, პროსტა სქელტრაკა რატო ვარ ეგ ვერ გავიგე?! თავის ტრაკს შეხედოს რა ერთი კარგად სარკეში

ქეთი : და ხო იყავი? ბავშვობაში არ იყავი?

გიო: მერე, მაგის მერე 18 კილო დავიკელი , შე მართლა...

ანო : კაი არ იჩხუბოთ

გიო: წავედი, წავედი, არ მცალია თქვენისთანა უსაქმურებისთვის. ერთ საათში ჰონგ-კონგში მივფრინავ.

ანო: დედა ჩემი სიკვდილი!

ქეთი: კაი დედა რა იყო, პირველად ჯდება თვითმფრინავში?

გიო: აბა დროებით, გკოცნით, ხო დე მართლა , აღდგომა როდის არის?

ანო : ორ კვირაში

ქეთი : აუ შენი გამომცხვარი პასკა როგორ მომინდააა?!

გიო: აუუ დეე რეცეპტი მომწერე და გამოვაცხობ.

ქეთი: ვაიმეე ეს რა გიჟია!! არანორმალური.

გიო : კაი გავდივარ, რეცეპტი დამხვდეს მესენჯერში. თიშავს ეკრანს.

ანო: გოგო შენ კიდე ნუ ეძახი დებილ სქელტრაკას, ვერ ხედავ ბიჭი ბოინგზე ზის , მაგას ენაცვალოს დედა.

ქეთი: უჰჰ?! გამოუვიდა დამცველი, მაინც ჩემი დებილი სქელტრაკა იქნება ყოველთვის, კაი წავედი დეე,გკოცნი , მეძინება , ხვალ ბევრი საქმე მაქვს , ივენთი გვაქვს საელჩოში, და ხო იცი ჩემს მეტი არავინ არის თავის მომბმელი.

ანო: რა ივენთი გაქვთ?

ქეთი : რაღაც მატრაბაზული, მაგრამ კარგად უნდა გამოვიყურებოდე.

ანო: მაინც?

ქეთი: ოოო?! ვიღაც ერთი ქართველი მოდელი, თუ მსახიობი ცხოვრობს აქ , ნიკოლ კიდმანის სამსახიობო სკოლაში სწავლობს. ნიკოლ კიდმანი ხო იცი?

ანო : კი როგორ არ ვიცი ტომ კრუზის ცოლი

ქეთი:ეი, რაღა დროს ეგ არი

ანო: რაა გაცილდნენ?

ქეთი : იმედია გადაიტან ამ ამბავს

ანო: აუ ისე რა მეწყინა?! მერე მერე?

ქეთი : ჰოდა ამ მატრაკვეცა ქართველ გოგოს მოყავს ხვალ ჩვეთან კინოვარსკვლავები.

ანო : თქვენ რა შუაში ხართ?

ქეთი : მეც მაგას არ ვკითხულობა

ანო: ლამაზი გოგოა? ის, ქართველი ?

ქეთი : აჰა ფოტოები, თუ ძალიან გაინტერესებს

(ეკრანზე ჩნდება ლამაზი ახალგაზრდა მსახიობი გოგონას ფოტოები)

ანი : დედა რა ლამაზი ყოფილა!

ქეთი: არის რაა არაუშავს.

ანო : შენ არ მოგწონს?

ქეთი : კი მომწონს ნუ შემჭამ ახლა

ანო: მერე გავურიგოთ გიოს

ქეთი: აუ დედა რეებს ამბობ რაა?! ჰაჰაჰა!!!

ანო: რა იყო რაა , მიდი , მიდი იფიქრე შენს ძმაზე.

ქეთი : კაი, კაი წავედი, გკონი

ანო: რა ქვია ?

ქეთი : მაკრინე

ანო: აუჰ , თან ბებიჩემის სახელიც რქმევია?!..

ქეთი : კაი წავედი დე მეტი დრო აღარ მაქვს, გკოცნი

ანო: მეც გკოცნი დეე.და რაც დაგავალე არ დაგავიწყდეს.

ქეთი: შენ არ დაგავიწყდეს შენი სქელტრაკა შვილისთვის პასკის რეცეპტის გაგზავნა, აბა ხვალამდე!

ანო: უი მართლა ახლავე მოვძენბი. ორივენი გადიან კადრიდან.

ჩნდება წრწერა :

ერთი წლის შემდეგ.

ანო ისევ იგივე ტახტზეა წამოწოლილი და ტელევიზორის ეკანს არის მიჩერებული, ეკრანიდან ისმის ხმა და ჩანს შესამაზამისი კადრები.

ხმა კადრს მიღმა : მთელი მსოფლიოს ექიმები თანხმდებიან , რომ პირველი რაც ამ პანდეემისგან თავდასაცავდ არის აუცილებელი ეს არის, ხელების ხშირი დაბანა და სოციალური დისტანცირება.

(ამ ტექსტს მონაცვლეობით ამბობენ , მსოფლიო ჯანდაცვის ყველაზე მაღალი თანამდებობის პირები და რიგითი ექიმები)

ეკრანზე ჩანს მსოფლიო რუქა და კორონავირუსის პანდემიის კადრები, დაინფიცირებულთა, გამოჯანმრთელებულთა და გარდაცვლილლთა სტატისტიკა: ჩინეთში, ამერიკაში ევროპაში და საქართველოში.

შემოდის სკაიპის ზარი და დიდ ეკრანზე ჩნდება ფანჯარა, ფანჯარაში ჩანს ქეთი.

ანო: დე როგორ ხარ?

ქეთი : რავი ვაარ რაა, შენ რას შვრები, გარეთ ხო არ გადიხარ

ანო : არა მაგრამ ჩემს ჯგუფელს დედა გარდაეცვალა და იქ უეჭველი უნდა წავიდე, თან დედამისი ჩემი ლექტორი იყო ერთი სემესტრი.

ქეთი : ქალო შენ ხო არ გააფრინე , სად შენი ჯგუფელის დაკრძალვაზე, დედა ფეხი არ გაადგა იცოდე თორემ....

ანო: ხო კაი, კაი, ვიცოდი თქვენი ამბავი შავ დღეს რო დამაწევდით.

შემოდის ზარი და ეკრანზე ჩნდება მეორე ფანჯარა

ანო : აი გიოც

ეკრანზე გიოს ნაცვლად ჩანს მაკრინე

მაკრინე: საღამო მშვიდობისა!!!

ქეთი: აქ რო დილაა რავქნათ ზოგიეთება? და ზოგგან ღამე?

მაკრინე : (იცინის) აჰაჰაჰაჰ! უი სულ დამავიწყდა.

ანო:გაიხარე დედიკო , დიდი მადლობა, ჩემი გიო სად არის? არ არის სახლში?

მაკრინე : კი მაგრამ არ სცალია

ქეთი : მაიცა კიდე პასკებს აცხობს?

მაკრინე: ჰოო და თან სამზარეულოში არ მიშვებს ტელეფონით მეკონტაქტება, შეიძლება არ მოეწონო პასკას და ჩავარდესო

ანო: სწორია მერე , მეც ეგრე ვაკეთებდი , არ გახსოვს ქეთი?

ქეთი: კაი რა დეე? მახსოვს არა ისა

(ეკრანზე ზარი შემოდის და მესამე ფანჯარაც ჩნდება)

გიო: გაუ!! მოკლედ პასკები გამომდიიის, ვფიქრობ მფრინავობას ხო არ დავანებო თავი და საერთოდაც კულინარიას ხო არ მოვკდო ხელი?

ქეთი: ძლივს არ მიხვდა რა არის მისი ნამდვილი მოწოდება.

გიო: დიახაც! გასკდი გულზე.

ანო : კი მაგრამ ერთი კვირის წინ ხო გამოაცხვე და კიდე რატო აცხობ?

გიო: ჩემდა საუბედუროდ შარშან ვინც გასინჯა, მთელი წელია ჩემს გამომცხარ პასკას ელოდებიან და თან ახლებიც შეემატნენ. ისე მეხვეწებიან ხათრს ვერ ვუტეხავ.

ქე : მოკლედ პასკის კლასტერიც გქონიათ რა ნიუ-იორკში.

გიო: ეგ მანდ არის კლასტერები , თორე აქ მაგას ვინ გაარკევს

მაკრინე : არადა მე ერთი ლუკმაც არ გამისინჯავს

ანო: რატო მერე არ გაინტერესებს შენი ქმრის ნახელავი?

მაკრინე: მეშინია მერე ნარკოტიკივით არ შევჯდე ჰაჰაჰაჰა!!!

გიო: დე ცოტა ხანში ,,გლოვო'' მოვა შენთან, ყურადღებით იყავიიი...

ანო : კარგი აღარ მინდა ამდენი საჭმელი, ვერ ხედვათ რამსისქე გავხდი, ისედაც ვეღარ ვეტევი ვერაფერში, ხან ერთი მიგზავნით, ხან მეორე.

გიო : მიდი მიდი გახედე მოვიდა უკვე.

ანო: ოხ გიო, გიო!

ანო გადის, ფანჯარაში ქეთი, გიო და მაკრინე რჩებიან მარტო.

ქეთი: გააფრენს! ნამდვილად გააფრენს! ისე რამ მოგაფიქრა?

გიო: რა იყო , შენ არ გაგეხარდა?

ქეთი : აუუუ მაგრად , სასწაულია! აქ ჯერ მსგავსი გემრიელი არაფერი გამისინჯავს.

მაკრინე: არც ამერიკაში არ არის მაგაზე გემრიელი პასკები

ქეთი : და შენ რა იცი თუ არ გიჭამია

მაკრინე : ყველა შოკშია გარშემო და არ არის საკმარისი?

ქეთი : ისე რამ მოგაფიქრა შე მართლა სქელტრაკა?

გიო: რა პრობლემაა ეგ ჩემთვის, ყოველღე სადღაც ამდენი რეისი კეთდება, ვინ მეტყოდა უარს?

ქეთი: მეორე ჯერ არ დამიჭრია

გიო : არ წაიღე საელჩოში, კი ერთი ნაჭერი და ის დავჭერი 15 ლუკმად , გემო ყველამ გაუგო

გიო: გოგო რა ჟმოტი ხარ შენა?

ქეთი : არა ბიჭო ახლა მაგთ შევაჭმევდი.

გიო: კაი რა იყო, კიდე გამოვაგზავნი , მაინც ვაცხობ მეორე პორციას.

ქეთი : გაგიჟდი , ორი კილო მოვიმატე ამის წყალობით.

გიო : რავი სხვებს არ ვაჭმევო და..

ქეთი : ეი სქელტრაკ!! მიდი რახან მაინც აცხობ გამოუშვი კიდევ სიდნეიში თუ დაინიშნა რეისი.

გიო : ეს ნახე რაა, თან მლანძღავს , თან , უჰჰ!!

ქეთი: მიდი , მიდი და იმ კვირიდან დიეტაზე დავჯდები.

მაკრინე: წავედი მე ჩართვა მაქვს! ჩაო!

ქეთი: მოდის , დედა მოდის.

ანოს ხელშოი უჭირავს ორი პასკა და ისე ტირის რო სულს ძლივს ითქვამს.

ქეთი და გიო იცინიან.

გიო: კაი რა გატირებს დეე, ჯერ გასინჯე იქნებ არც მოგწონს

ქეთი : კაი წავედი თორემ დამაგვიანდა საელჩოში და თან თქვენი სენტიმენტების თავი არა მაქვს *(ქრება ქეთის ფანჯარა).*

ანო: ეს როგორ მახერხე , ეს როგორ მოიფიქრე!!! დედა გენაცვალოს შენ (ზმუის)

გიო : კაი , კაი წავედი , წავედი თორემ ჩამივარდება პასკები, არ გათიშო მაკრინეს უყურე.

ანო, ტირილ -ტირილით ხსნის ერთ პასკას და ხელით ატეხს და ისევ უკან აბრუნებს,

ანო: არა ამას აღდგომის ღამემდე არ გავჭრი!

ეკრანზე ჩანს მაკრინე:

მაკრინე : მოგესალმებით, დღეს უკვე მესამე სიმღერას გიძღვნით ყველას ვინც ,,დარჩა სახლში!'' . კომენტარებიდან მივხვდი , რომ ძალიან მოგწონთ ჩემი სიმღერები . მათ ვინც პირველად შემოგვიერთდა და არ მიცნობს ვეტყვი , რომ მე გახლავრთ მაკრინე გუჯაბიძე, მსახიობი სიდნეიდან. უკვე თითმის ერთი წელია, რაც გავთხოვდი და ჩემს მეუღლესთან ერთად ვცხოვრომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ნიუ-იორკში. წარმოშობით ორივე ვართ ქართველები და ახლა შემოგთავაზებთ ქართულ სიმღერას , რომელსაც ვუძღვნი ჩემს მფრინავ მეუღლეს (იწყებს სომღარას):

''მე რა მამღერებს, ვარდების სუნთვა, ყაყაჩოს მტვერი,

 თუ მილხინს ვმღერი, თუ ვსვდიანობ მაინცა ვმღერი ....''

ჩემი სიმღერა მთებმა მასწავლეს, ჩიტების ენა , ასე მგონია

ამ სიმღერებით ავიდგიიი ენაااااა!!..

უცებ ორივე ერთად გამოჩნდებიან და მისამღერს ერთად მღერიან , გიოს მზარეულის წინსაფარი უკეთია და ქუდი ახურავს მისამღერს გიო და მაკრინე ერთად ასრულებენ

,,ჩიტო-გვრიტო ჩიტო მარგალიტო დااااა (და.ა. აშ).

ანო ამ ყველაფერს, საკუთარი სახლიდან სიხულით ადევნებს თვალს

ანო : თქვენ შემოგევლოთ ჩემი თავი.

(მერე ფეისბუქს ჩამოყვება და ისრი ერთ-ერთ ვიდეოს დაკლიკავს. ვიდეოში ჩანს აივანი , სადაც ასაკოვანი ქალი ქოთნებში მიწას რწყავს.

ანო : უი ციალა?!

ციალა (უნივერსიტეტის პროფესორი):

,,მოგესალმებით, მე გახლავრთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ციალა ვარდოსანიძე, ეს ჩემი აივანია და ახლა გაჩვენებთ ქოთნებს სადაც ერთ თვეში კარგ მოსავალს უნდა ველოდეო.აქ არის ქინძი, ეს ბროკოლია, ეს გახლავთ წითელი მწარე წიწაკა და კომბოსტო. აქვეა ჭარხალი, რომელსაც მომავალში

კომბოსტოს მწნილის გასაკეთებლად გამოვიყენებ. მართალი გითხრათ უფრო ადრეც შეიძლებოდა მიმეღო მოსავალი, მაგრამ არავინ მითხრა, რომ ჭურჭელში, რომელშიც დავთესე ჩემი ბოსტნეული ძირი უნდა გამეხვრიტა. საიდან უნდა მცოდნოდა? ამიტომაც პირველი მოსავალი ქოთნებში ჩალპა , რადგან წყალს არ ვაკლებდი, ახლა კი ყველა ნიუანსი დავიცავი და ველოდები, როდის ამოიწვერევა პირველი ღერო. მართალი გითხრათ ასეთი მოლოდინის სიხარული, ჩემი პირველი ლექციის წასაკითხვის დროსაც კი არ მახსენდება. საოცარი გრძნობა ყოფილა და გირჩევთ სხვებმაც მომბაძოთ, რჩევების მოცემაც შემიძლია უკვე.

ეკრანზე ჩნდება კომენტარები და კომენტარების ავტორები:

- ვაი შენ პატრონს!
- ქალი დაბერებულა და ახლა გაიგო რო ქოთანს ნახვრეტი უნდა ქონდეს!
- დავაი რა ქალო შენ საქმეს მიხედე
- ბარაქალა! ბარაქა ციალ!!
- ქალბატონო ციალა, დღეს გვექნება ლექცია ონლაინში?

ციალა (სარწყავით ხელში:

- ძვირფასო სტუდენტებო მოგესალმებით! დღევანდელი ჩვენი ლექციის თემაა: სოფოკლეს ოიდიპოსის გავლენა აღორძინების ეპოქის ლიტერატურაზე და ზოგადად ანტიკური ლიტერატურის ამოუხსნელი ფენომენი. მოემზადეთ დავიწყოთ (კადრში ჩანს სარწყავიდან როგორ ესხმება მიწას წყალი, და ციალა თან ჩითილებს რწყავს და თან ლექციას აგრძელებს)

ციალა : მოკლედ, ნაწარმოები იწყება იმით, რომ ქალაქ თებეში შავი ჭირია და მოსახლეობის დიდი ნაწილი შეეწირა ამ ეპიდემიას.
სასოწრკვეთილი ქალაქის მცხოვრებლები, მიდიან ქალაქის მთავარ მოედანზე და მეფე ოიდიპოსს სთოვენ , რომ რამე გამოსავალი იპოვოს და ქვეყანა ამ უბედურებისგან იხსნას.

კომენტარები:

- მას ეტყობა, კორონა იყო მაშინაც , არა?
- კი დაღდად ეგ იქნებოდა
- ეს წიგნი მაგიტო მოგვცა ეტყობა წასაკითხად.
- მას არ შეიძლება რო შევცვალოთ?
- რა უბედურებაა, იქაც შავი ჭირი და აქაც კორონა
- რამე მხიარული არ შეიძლებოდა.

(ციალა აგრძელებს ლექციას და თან მცენარეების მორწყვას.)

მაუსის ისარი ჩამოდის შემდეგ ვიდეოზე.
ხიპურად ჩაცმული რამდენიმე ახალგაზრდა სხვადასხვა ადგილიდან ერთ რიტმში ცეკვავენ აჭარულს.

ისმის კომენტარები და ეკრანზე ჩნდება მათი სახეები ვინც აკომენტაებს

- ეეე!!! მიდით ბიჭებო მიდით!

- უჰ თქვენ გენაცალეთ!!

- სანამ ასეთი მომავალი თაობა გვეზრდება, არ გადავშენდებით!

- ძაან ტრაკებს ხო არ აქანავებთ, ბიჭებოოო ?!

-ეეე აქა ხარ?! (ერთი კომენტარის დამწერი აღმოაჩენს მეორე კომენტარის დამწერს)- როდის ჩამოცვედი შეჩემა, აკი ბელგიაში ვარო

- ქობულეთში ვარ შეჩემა სტატუსებს მაინც არ კითხულობ? იზოლაციაში გამაქანეს ეგერევე.

მაუსის ისარი შემდეგ ვიდეოსათან ჩერდება , ეკრანზე ჩანს ორი სოფლელი გოგო მინდორში სხედან, ერთი გარმონს ეჩევა და ორ ხმაში მღერიან ინგლისურ სიმღერას ქართული ინტონაციით

გოგოები ორ ხმაში : ,,yesterdayyy ... (ორ ხმაში)

ჩნდება კომენტერები და კომეტარებს ვინც წერს მათი სახეები:

- მიყვარხარ ციცოოო!!!
- ჩვენი სოფლის სიამაყეები!
- გოგოებო საღამოს პაემანზე გეპატიჟებით მე და რაჟდენა, ორ მეტრიან დისტანციაზე ჰა! ჰა!! ჰااااა!!! ინგლისური არ ვიცით და იმედია ჩვენებური ჯიგრულ კახური არ დაგვიწყებიათ!!
- უუ, ეს რა სიმღერაა?! ვერც ერთი სიტყვა რო ვერ გავიგეე, თქვენი აზრით ,,იესთუდეის“ მღერიხართ? აუუ ამ სიმღერამ კორონაზე მეტად ,,დამგრუზა'' დედას ვფიცავარრრრ“

მოულოდნელად ეკრანზე ირთვება სპეციალური სანფორმაციო გამოშვება.

კადრში ჩანს ევროპის დაცარიელებული ქუჩები და ქალაქები.

წამყვანი : თქვენ ახლა კადრში ხედავთ კორონა ვირუსის გამო დაცარიელებულ ქალაქებს. წარმოუდგენელი და შემაშფოთებელია სტატისტიკა, რომელსაც ყოველდღიურად აქვეყნებენ მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო გააგენტოები.

მაგრამ, მიუხედავად ამ მძიმე ვითრებისა, არის ერთი სასიამოვნო სიახლე , რომელმაც შესაძლოა საქართველო მსოფლიო რუქაზე ყველაზე ცნობად ქვეყანად აქციოს. გთავაზობთ ჩართვას ერთ-ერთი რეგიონიდან, კერძოდ კი სამეგრელოდან .

კადრში ჩანს ქალი რომელიც ელარჯს მაღლა წელავს და მეგრულად ლაპარაკობს, ახლგაზრდა ჟურნალისტი გოგონა კი თარგმნის მეგრულიდან ქართულად:

ჟურნალისტი:

როგორც ქალბატონი გული ადასტურებს, კორონა ვერაფერს დააკლებს იმ ადამიანებს, ვინც ხშირად მიირთმევს ელარჯს, რადგან დაზუსტებულია, რომ ელარჯის ხშირი მირთმევის შემთხვევაში პიროვნებას უნვითრდება სუნთქვის განსაკუთრებული უნარები, რაც გამოიმუშავება ცხელი ელარჯის პირის ღრუში მოხვედრის შედეგად. რასაც ხშირად თან ახლავს არაერთგზის სუნთვის შეწყვეტი და ზოგჯერ თქვენ წარმოიდგინეთ სუნთვის სრული გაჩერებაც კი. მარტო ჩვენი სოფლიდან მთელს ევოპაში და ამერიკაში თითქმის ნახევრზე მეტია წასული და ჯერ არც ერთს არ გართულებია კორონა, აი მიზეზიც (გაწელავს ელარჯს).

დიქტორი საეთეროდან : ეს ფაქტი თითქმის დადსტურებულია, დღეს სპეციალური რეისით მოფრინავენ ოქსფორდის ვირუსთან ბრძოლის ცენტრის სამედიცინო პერსონალი, ამავე თვითმფინავს ჩამოყავს ჩვენი ლონდონში დარჩენილი ემიგრანტების ნაწილი. ჩართვას პირდაპირ ეთერში აეროპორტიდან თვითმფრინავის ჩამოსვლისთანავე შემოგთავაზებთ.

მაუსი ჩერდება ვიდეოსთან

ვიდეოში ჩანს მინდორი, სადაც 20-ამდე ახლაგაზრდა პირბადეებით და ხელთათმანებით აღჭურვილები მინდორს ნაგვისგან წმენდენ და იქაურობას აწესრიგებენ.

კომენტარები და მათი ავტორები:

- ეი სხვა გასართობი ვერ იპოვეთ?!

- ყოჩაღ ბიჭებო, ყოჩაღ! ნეტა რას აპირებენ?

- ალბათ სპორტულ მოედანს

- ხო მეც ასე ვფიქრობ.

კვლავ ჩართვაა საინფორმაციოდან

ჩანან აეროპორტის კარიდან გამოსული მგზავრები პირბადეებით , ჟურნალისტი აჩერებს ერთ-ერთ მათგანს მიკროფონს აჩეჩებს პირში:

ჟირნალისტი : უკაცრავად თქვენ ლონდონიდან მოფრინავთ?

ახალგაზრდა ბიჭი: what?

ჟურნალისტი : Are you from london?

ახალგაზრდა ბიჭი : No, Im from Tashiskari, but I forgot Georgian language.

ჟურნალისტი გარბის ექიმის ხალათებში ჩაცმული ჯგუფისკენ.

ჟურნალისტი : მოგესალმებით, დიდი ბედნიერებაა რომ მიუხედავად ასეთი მძიმე დროისა, როცა მთელი მსოფლიო ცახცახებს კორონავისუსის პანდემიის შიშით , თქვენ დრო გამონახეთ და დაინტერესდით საქარველოს ერთ-ერთი კუთხის სამეგრელოს ეროვნული კერძით, რომელიც შესძლოა სულ მალე გახდეს ამ დაავადების განკურნების ერთადერთი პროფილაქტიკური საშუალება და ერთგვარად ვაქცინის ფუნქციაც კი შეითავსოს. ეს არის ელარჯი, ახლა ზუგდიდის შესასვლელთან უკვე იწყება მზადება ელარჯებისთვის და ელოდებიან სტუმრებს, თქვენი კომენტარი თუ შეიძლება?..

ინგლისელი ექიმი : ჩვენ სანამ ფეხს დავდგამდით საქართველოს მიწაზე, ბევრი რამ შევიტყვეთ ამ ქვეყნის კულტურის შესახებ და აღმოვაჩინეთ რომ ამ უძველეს ქვეყანას უდიდესი კულინარიული წარსული აქვს. სიტყვა მედიცინის წარმოშობაც ამ ქვეყანას უკავშირდება, რადგან თავად მედეა, რომელიც არაერთი შემოქმედის მუზა გახლდათ სხვასხვა ეპოქაში, სწორედ იმ კუთხიდან ყოფილა სადაც ახლა ჩვენ გველოდებიან ეს არის კოლხეთი! , კოლხი

ჩვენც გვაქვს სიურპიზი და ჩვენს ქარველ კოლეგებს პირდაპირ აეროპორტიდან ვუძღვნით პერფომანსს, რომელიც აქ ჩამოსვლის წინ მოგიმზადეთ.

ჟურნალისტი: რა საინტერესოა, მაყურებელს შევახსენებ რომ , მხოლოდ ჩვენს არხზე თქვენ იხილავთ ინგლისელი ექიმების მიერ შესრულებულ პერფომანსს, რომელსაც ისინი თავიანთ კოლეგებს უძღვნიან.

ინგლისელი ექიმი : პროფესორ სმიტი- ცობილი ვირუსოლოგი, პროფესორი ელენი - ინფექციონისტი, პროფესორი გრეგუარი, - იმუნოლოგი დ ა მე თქვენი მონა-მორჩილი ქვეყნის მთვარი ინფექციონისტი. მზად ხართ?

- მზად ვართ , პასუხობენ

ერთ-ერთი ექიმი იხსნის პირბადეს , მეორე ხელთათმანს, მესამე ექიმის ქუდს , დგებიან წრეში, ამ ყელაფერს ცენტრში ყრიან და მთელი მონდომებით იწყებენ ცეკვას და მეგრულ სიმღერისა „ქუდია თუ ბოხოხია"

ხუთი ინგლისელი ექიმი ერთ ხმაში :

- ჯან სულო , ჯან გულო ქუდია თუ ბოხოხია?!....
- ჯან სულო, ჯან გულო ვა!ვა!ვა!ვა! ჩქიმი ცოდვა
  და.აშ.

მაუსის ისარი მიდის ახალ ვიდეოსთან და ახლა კადრში ჩანს ახლგაზრდა მამაკაცი ჟურნალიტი , რომელიც აჩერებს ასაკოვან მამაკაცს.

ჟურნალისტი: მოგესალმებით ბატონო იოსებ. მაყურებელს მინდა შევახსენო რომ სპეციალური რეისით ლონდონიდან დღეს სამშობლოში ასევე დაბრუნდა ჩვენი უნიჭიერესი თანამამამულე, დირიჟორი და კომპოზიტორი იოსებ შქმერელი. მას მთელი ორკესტრი თვალცრემლიანი დაემშვიდობა იმ იმედით , რომ როგორც კი კორონა ვირუსის პანდემიას დაამრცხებს მსოფლიო, კვალავაც თავის საყვარელ ორკესტრს დაუბრუნდება.

კადრში ჩანს მთელი ორკესტრის მუსიკოსები, ფანჯრებში ინსტრუმენტებით, რომლებიც ერთად ასრულებენ საქართველოს ეროვნულ ჰიმნს.

ჟურნალისტი : ეს კადრები გუშინ ბიბისიზე გასულ რეპორტაჟში, მთელმა მსოფლიომ იხილა, რაღა დაგიმალოთ და ჩვენ ქართველებს ძალიან გაგვეხარდა თქვენი დბრუნება , მიუხედავად იმისა, რომ უკეთესი იქნებოდა უფრო მშვიდობიან დროს დაბრუნებულიყავით.
(გაუწვდის მიკროფონს)

იოსებ შქმერელი : რა უნდა ვთქვა?

ჟურნალისტი : ალბათ, როგორც ყველა საქართველოში ჩამობრძანებული მოქალაქეს, თქვენც სავალდებულო იზოლაციაში მოგიწევთ ყოფნა. სად

აპირებთ, ამ ორ კვირიანი კარანტინის გატარებას , ყველა ხუთვარსკვლავიანმა სასტუმრომ შემოგთავაზათ როგორც ვიცით აპარტამენტები.

იოსები: დიდი მადლობა ყველას მაგრამ, მე თვითოლაზიაცაში მივემგზავრები ჩემს მშობლიურ სოფელ შქმერში. და იქიდან არსად წასვლას არ ვაპირებ. არც თვითიზოლაციის შემდეგ.

ჟურნალისტი: რას ბრძანებთ, ანუ სამშობლოში აპირებთ დარჩენას?

იოსები: დიახ, შქმერში.

ჟურნალისტი: ეგ მგონი ქუთაისთან არის ხომ?

იოსები: არ ვიცი მგონი არ გადმოუტანით და ჯერ ისევ რაჭაში უნდა იყოს.

ჟურნალისტი (გაწბილებული) : ბატონო იოსებ, დღეს ყველა მხრიდან ისმის ,,დარჩი სახლში'' თქვენ რას ურჩევდით ჩვენს მოსახლეობას ?

იოსები : იმოგზაურეთ საკუთარ სამშობლოში. (იოსები გადის კადრიდან).

კომენტრები მათი ავტორები ჩნდებიან:

- მაგ დებილს ვერავინ გააგებინა რო სახლში უნდა დარჩეს? რა დროს მოგზაურობაა? ეგ უნდათ კიდევ ახალგაზრდებს ?! ისედაც ძლივს ვაკავებთ.

- ვინ არის დებილი ?! გაგიჟდით ხალხოოოოო მსოფლიო მნიშნელობის დირიჟორია ხალხო რეებს წერთ?! არ ნახოს

- სულ ცალ ფეხზე არ მკიდია, კარგად ვიცი რატომაც ჩამოთრა , ახლა არჩევნები ახლოვდება , გონიათ არ ვიცით ვის უჭერს მხარს?

- რა დროს დირიჟორია ხალხოოო, წყალი არ მაქვს მესამე დღეა! ხელები რითი დავიბანოოოოოოოო

- დარეკეთ მერე 1434-ზე

- უკვე 345 -ჯერ დავრეკეეეეე!!!!

ისევ მოძრაობს მაუსის ისარი და მთავარი არხის ეთერში გვარიამია ჩქმეტს ექიმ ლავან რატიანს.

კომენტარები:

- შენ რო კაი კაცი იყო, მასე ჩქმეტას ვერავინ გაგიბედავდა პირდაპირ ეთერში
- ხო გამოჩნდა კარგად ვინც ყოფილა?!
- თუ მართალი კაცია ეგრევე უნდა წამომხტარიყო , როგორც კი საქმეტად მოემზადა გვარიამია, ამ კიდე ლოყა მიუშვრა
- მაგაზეა ნათქვამი -,,ერთ ლოყაში რო გაგარტყამენ -მეორე მიუშვირეო''
- რა შუაშუა , ეგ , ვაი თქვენს პატრონს...

შემდეგ კადრში ივანიშვილი და ბერა ცეკვავენ .

კომენტარები:

- ვაი საცოდავო საქართველო, ვაი! ვაი! რა დღეში ხარ?!
- რა იყო რას გასკდით გულზე, მაგარ ფორმაში როა ?
- მიდი ბიძინა შენ გენაცვალე , იხუნავე ამათ ჯინაზე!!!
- ეხლა მაინც წაგშლით ყველას ვისაც ეს ვიდეო მოგწონთ, აბა მშვიდობით!!ჰეჰეეეე!!!!

ეკრანზე ჩნდებიან სხვადასხვა ასაკის ადამიანები და ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს:

- დარჩი სახლში!
- დარჩი სახლში!!!
- დარჩი სახლში დარჩი სახლში!!!

- რო დავრჩე მერე რა დედიჩემისა ვჭამო?!
- წადით თქვენი სიაფადნი დედაც , თქვე გარეწრებოოოოო!!!!!
- ხალხოოო!!! მოგონილია ეს კორონა !! მასონებმა შემოგვიგდეს მასონებაა!!!!
- არ დანებდეთ! არც ტესტები გაიკეთოთ , ეგ ანიქრისტეს ბეჭედია!!
- ქართველობას გვართმევენ!!!! ქართველობას გვართმევე!!

ჩოხოსნები მღერიან „შავლეგოს"

ის 20ე ახლაგაზრდა რომლებიც მინდორს ნაგვისგან ასუფთავებდნენ, ახლა მიწას ხნავენ და ბარავენ.

წმინდა პეტრეს ტაძარი, ვატიკანში. ცარიელ მოედანზე , წვიმაში მარტო დგას და ლოცულობს რომის პაპი.

ეჭვიანი კაცი:

ჯერ გვითხრეს - თავი, ყელი, ხველება და სიცხეა სიმპტომი-ო.
მერე ეტყობა დაავადებულთა სტატისტიკა არ მოეწონათ. დაამატეს ფაღარათი, დიარეა, ცრემლდენა, დაღლილობა, ქოშინი, ოფლიანობა, გემოსა და სუნის დაკარგვა, თავბრუს ხვევა, სხეულზე ლაქები, ქავილი, უძილობა და კიდევ ათასი დოზანა და უბედურება. რა უბედურაბაა!!!

კომენტარები და მათი ავტორები:

- მერე ესაც ეცოტავათ და საერთოდ, თუ არც არაფერი არ გაწუხებთ ეგაც საშიშია, ესე იგი უსიმპტომო ავადმყოფები ხართ და სახლში ეყარენით-ო. მოგვიმზადეს აპლიკაციც, აბა ამდენს სად ჯანდაბაში დაგტესტავთო. აქედან, რომელიმე სიმპტომი თუ გაქვთ დააფიქსირეთ, შეგვატყობინეთ და კორონა ვირუსის ბაზაზე საპატიო ადგილს დაგიმკვიდრებთო. ტესტირებაც არ არის საჭირო.

- დაურეკავთ ოჯახის ექიმს, ამ ჩამონათვალიდან მინიმუმ სამ სიმპტომს დაუსახელებ და COVID-19 დიაგნოზი გარჭობილი გაქვს.

- მსოფლიო ჯანდაცვა ჩვენს გადასარჩენად ხელების დაბანის რეკომენდაციას ვერ გასცდა. ხელები კარგად დაიბანეთ და ისე დაგვიკარით ტაშიო. 2 თვით გამოგვკეტეს სახლში და ახლა ჯოგური იმუნიტეტის გამომუშავებას გვთავაზობენ

- ნელ-ნელა გამოგიშვებთ ბოილერებიდან, დაგაინფიცერებთ და კაცობრიობაც გადარჩება-ო.
  ოღონდ პირბადეები მაინც უნდა ატაროთ "ნა ვსიაკი ვსლუჩემ", თქვენი უკმაყოფილო და მოჯმული სიფათები რომ არ დავინახათ-ო.
  (აი ამას ეწოდება მსოფლიოს გლობალური დაყლევების გეგმა, სხვას კი არაფერს)

  - ამ ორ თვეში ნერვიულობაზე ოფლიანობაც გვქონდა, სიცხეც, ფაღარათიც, მოთენთილობაც, ყელის სიმშრალეც, ნაწოლებიც გაგვიჩნდა და ორგაზმსაც ვეღარ განვიცდით! (ეს ბოლო არ უნდა დამწერა მე მგონი. ამასაც სიმპტომებში დაამატებენ)
  ჰოდა გამოგვიშვით სახლიდან თქვენს დშც!!!
  კარგად ვართ უკვე, კარგად!!! გავაფრინეთ!!!!!

შეშფოთებული ქალი კარანტინში:

კეთილგონიერი ავაზაკის სახელობის ტაძარიოო!!! ხალხნოოოოო!!!!!!
გამაღვიძეთ, ვინმე ღვთისნიერმა. ნუთუ ეს მართლა მესმის!!!!

ახლგაზრდა პედაგოგი: მოვამზადებ მსურველებს ინგლისურ ენაში

კომენტარები და მათი ავტორები:

- ფასი? ბარემ თანხაც მიუთითეთ რაა.

ახალგაზრდა პედაგოგი: უფასოდ

- რა უფასოდ? ეტყობა ვიღაც თვითმარქვიაა, დიპლომი დადოს

- ეკრანზე იდება ორი საერთაშორისო დიპლომი
- მე მინდა
- მეც მინდა
- შეიძლება მეც რომ დავრეგისტრირდე
- აუუ მეც მინდა რაა

ბრიტანეთის საკონსული: ძვირფასო ნინო, ეს თქვენ ხარ? გამარჯობა

ახალგაზრდა პედაგოგი: დიახ , გახლავართ! მოგესალმებით

ბრიტანეთის საკონსულო : გადაეცით თქვენს კურსდამთავრებულებს , რომ ჩვენ სასერტიფიკატო გამოცდებზე დავუშვებთ ყველას ვისაც რეკომენნდაცის გაუწევთ

ახალგაზრდა პედაგოგი : მართლა? რა ბედნიერებაა, დიდი მადლობა.

კომენტარები და მათი ავტორები:

- ბრავო!!
- აბა გამოჩნდით ყველანი
- ჰაიიი!!!

ფანჯრებში ჩანან ინგლისურის სწავლის მსურველები და მათი ახლგაზრდა პედაგოგი. დიდი შემართებით იწყება ენის შესწავლა.

კეთილი ქალი:

ძალიან დიდი სურვილი მაქვს ხალხს რაიმეთი დავეხმარო, მაგალითად!___- ნიღბებს , დღეში 50 ცალს უფასოდ შევუკერავ, თუ მასალებს მომაწვდით. მაქვს იდეა, ფანტის ბოთლის ეკონომიური გამოყენებით და ლეიკოპლასტით შეგვიძლია ნიღბების დამზადება. ეს ნაწილობრივ დაეხმარება მოსახლეობას ნიღბების დეფიციტის

აღმოფხვრაში. 1,5 ლიტრის ფანტის, ან სხვა სწორ ზედაპირიანი ბოთლის გამოჭრით მშვენიერი და სახეზე ზუსტად მორგებული გამჭვირვალე ნიღაბი მივიღე და ლეიკოპლასტით შუბლზე მივიმაგრებთ, ან ყურებზე რეზინით!.

ორ მოქეიფე მეზობელს გრძელი ფიცარი აქვთ გადებული აივნებზე და ზედ უწყვიათ პურ-მარილი მთელი მონდომებით მღერიან ცნობილ დუეტს ,,ტრავიატადან''

ქალაქის მთავარი ინფექციონისტი:

არავინ იხსნის პარაშუტს ვარდნის სიჩქარის შემცირებისთანავე, პარაშუტი უნდა მოვიხსნათ, როცა უკვე მიწაზე დავეშვებით, რაც უფრო კარგად გაითვალისწინებს საზოგადოება შეზღუდვებს, მით უფორ ხანმოკლე იქნება ისინი.

„რაც უფრო მეტად შევიწუხებთ თავს და მეტად მკაცრად დავიცავთ შეზღუდვებს, მით უფრო ჩქარა მოვხსნით ამას. მე იმედი მაქვს, რომ შევაჩერებთ ეპიდემიას, თუნდაც მკაცრი ზომებით, ამ საგანგებო ზომებით ჩვენ გადავიტანთ პიკის პერიოდს ნაკლები დანაკარგით, ნაკლებად ციცაბო რომ იყოს ეს პიკი და უფრო პლატოს მაგვარი რომ იყოს“,

ახლაკი გთავაზობთ ჩემს პიესას , რომლის ინსპირაციაც კორონა გახლავთ და რომელის ,,რიდინგსაც'' პირველად ონლაინ სივრცეში განახორციელებენ ჩვენი სცენის კორიფეები თავიანთი სახლებიდან. ეს ჩემი პირველი ნაბიჯები და დებიუტი თეატრალურ სამყაროში , ყველასათვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს, თუ როგორ შეიძლება ადამინები ვიყოთ ერთად და ამავ დროულად ცალ-ცალკე.

მოქმედი გმირები:

კორონა

დაიმფიცირებული

გამოჯანმრთელებული

კარანტინში მყოფი მშიშარა ადამიანი

კარანტინში მყოფი პატრიოტი:

იწყება პიესის კითხვა

კორონა: მე ვარ კორონა და როგორც იცით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 11 მარტს პანდემიად გამომაცხადა.

კარანტინში მყოფი მშიშარა ადამიანი:

არ მინდა მილიონიდან ის რომელიღაც ვიყო! არ მინდა თუნდაც გადარჩენის გამოცდილება მივიღო! სახლში ყურყუტით მიღებულ გამოცდილებას ვარჩევ! კი, ოთხმოცდაათიანები კარგად მახსოვს, პურის რიგშიც ვიდექი და ბოთლებსაც ვაბარებდი ნავთის ფულის მისაგროვებლად! აკრძალეთ ყველაფერი დაკეტეთ გზები, ჩეკეტეთ ქალაქები!! მე დღეიდან ავჭედავ ჩემი სახლის კარს ისე რომ ჩიტიც კი ვერ შემოფრინდება !!!

კორონა: მე უკვე აქ ვარ! კაკ -კუკ !!

პატრიოტი: ჩვენ ქართველებს კორონა ვერაფერს დაგვაკლებს, იმიტომ რომ ვერასოდეს მიხვდება როდის რას ვფიქრობთ, როდის რას ვამბობთ! როდის რას ვაკეთებთ და გულში რა გვაქვს!?

ეს არის ადგილი სადაც კორონა დამარცხდება კორონას უბედურება საქართველოში!

(სპექტაკლი გრძელდება)

კადრში ჩანან ის ახლგაზრდები, რომლებიც მიდნორს ბარავდნენ, ახლა ამოსულ მცენარეებს უვლიან და რწყავენ. -

-

იგივე ინტერიერი რაც დასაწყისში იყო, ანო ტაზტზეა მიწოლილი და ეკრანს პულტით მართავს. ფანჯარაში ისევ მისი შვილები ჩანან, გიო და ქეთი.

ანო: ქეთი დედიკო, იქნებ ჩამოფრინდე, ხო იცი რომ ეს ბოლო რეისია, მერე კაცმა არ იცის როდის აღდგება ისევ ფრენები.

ქეთი: დედა არ გრცხვენია მაგას რო მეუბნები? სანამ ამ ქვეყანაში ერთი ქარველი მაინც რჩება, საელჩოს ხო არ დავხურავთ. ამიტომ იყავი მშვიდად, მე ისევ ყოველდღ შეგეხმიანები.

გიო: დედა, აქ არა ვარ ?! თუ რამე ქეთია რო საფრთხეში არ დავტოვებ შენც ხო კარაგად იცი.

ანო: ხო კარგი, კარგი აღარ ვიღებ ხმას, იმედია შევხვდებით.

გიო: ხო აბა როგორ, ახლია შენს რძალს მოუსმინე პირდაპირი ჩართა აქვს , აბა დროებით.

კადრში ჩანს მაკრინე

მაკრინე : მოგესალმებით ჩემოძვიფასებო, ისევ თქვენი მოთხოვნის საფუძველზე კიდევ ერთ ახლ სიმღერას გიმღერებთ დღეს , ღონდ ერთი პირობით , რომ ამას ყველანი ერთად შევასრულებთ , აბა მომზადეთ , ვიწყებთ!

,,ჩემო კარგო ქვეყანავ

რაზედ მოგიწყენია

აწყმო თუ არა გწყალობს

მოოომავალი შენია..

(საიღერა გრძელდება და მაკრინეს თანდათან უერთდებიან სხვებიც)

დასასრული.

2020. თ.ბართაია